



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულება

მუხლი 1. აკადემიური საბჭოს სტატუსი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში აკადემიურ საბჭო) არის შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კოლეგიალური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო საქმიანობის, განვითარების და აკადემიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს საგანმანათლებლო-კვლევითი პროცესის განვითარებას.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს საქმიანობის პრინციპები

- აკადემიური საბჭო საქმიანობას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:
 - აკადემიური თავისუფლება და ავტონომიურობა
 - მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა;
 - ჩატარებული არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა;
 - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება;
 - თანასწორობა და მრავალფეროვნება.
- აკადემიური საბჭო მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულების და სხვა შიდამარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

მუხლი 3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და არჩევის წესი

- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, სკოლების საბჭოების, მიერ თავიანთი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით.
- კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საბჭოს წევრ მინიმუმ სამ კაციან ჯგუფს. თითოეულ კანდიდატურას ცალ-ცალკე ეყრება კენჭი, არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი.
- აკადემიური საბჭოს წევრი შეიძლება იყოს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი და ასოცირებული პროფესორი.

4. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით. ბიზნესის სკოლა საბჭოში წარმოდგენილია 3 წევრით, სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა - 3 წევრით, მედიცინის სკოლა - 3 წევრით, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი სკოლები საბჭოში წარმოდგენილია 1 წევრით.

მუხლი 4. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს.
2. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებაა:
 - ა. უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიური სტრატეგიების განსაზღვრა;
 - ბ. უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება;
 - გ. აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის წესისა და პირობების დამტკიცება;
 - დ. პედაგოგიური დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა;
 - ე. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცება;
 - ვ. აკადემიური წოდების მინიჭება;
 - ზ. ემერიტუსის სტატუსის მინიჭება;
 - თ. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცება;
 - ი. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცება;
 - კ. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დამტკიცება.
 - ლ. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას, რომელიც უკავშირდება უნივერსიტეტის აკადემიურ პოლიტიკას.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1. აკადემიური საბჭოს სხდომებს უძღვება აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რომელის აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს უფლებამოსილების ვადით.
2. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის არჩევა ხდება საბჭოს წევრების მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
3. აკადემიური საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ, მინიმუმ სამ თვეში ერთხელ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა $\frac{1}{4}$ -ის მოთხოვნით.
4. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. აკადემიური საბჭოში გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით.
6. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც მის უფლებამოსილებას განეკუთვნება, მიიღება დადგენილების ფორმით.

7. აკადემიური საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
8. აკადემიური საბჭოს მდივანი აირჩევა ღია კენჭისყრით საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) გარდაცვალება;
- დ) გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- ე) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
- ვ) საბჭოს სხდომაზე ზედიზედ სამჯერ არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
- ზ) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველები;
- თ) იმ თანამდებობის დატოვება, რომელიც წარმოადგენს აკადემიური საბჭოს წევრობის პირობას.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება უწყდება უნივერსიტეტის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის დროს.

მუხლი 8. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი სხდომა

1. უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია, აკადემიურ და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივ სხდომის ჩატარება.
2. სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში ან ერთობლივ სხდომაზე დამსწრე პირთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ერთობლივი სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ჯამში სამეცნიერო და აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 5 წევრისა თითოეული საბჭოდან.
3. ერთობლივ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით. ერთობლივი გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები.

მუხლი 9. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით მტკიცდება:

- ა) უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები;
- ბ) კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო სტანდარტები;
- გ) აკადემიური საბჭოს და სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებში შემავალი სხვა საკითხები, რომელიც შეეხება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, თუ ერთობლივ სხდომას და ერთობლივ გადაწყვეტილებას მოითხოვს აკადემიური საბჭოს ან/და სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ $\frac{1}{4}$.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

აკადემიური საბჭოს დებულება ძალაში შედის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებისთანავე. აკადემიური საბჭოს წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან ყოველგვარი ცვლილება/ დამატება მასში, ძალაში შევა ცვლილების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ განხილვისა და პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებისთანავე.